განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმი, ბაკალავრიატი

შპს-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

15 აპრილი, 2022 წელი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 20 მაისი, 2022 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ტურიზმი
უმაღლესი განათლების საფეხური	მეექვსე საფეხური, ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ვალერი არღუთაშვილი, ივანე

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დევიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ალექსიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ,,ტურიზმი“ 2012-2013 სასწავლო წლიდან ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 678; 20.11.2012).

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს 4 აკადემიურ წელს. პროგრამის 240 ECTS კრედიტიდან 180 ECTS კრედიტი ეთმობა სავალდებულო კურსებს, საიდანაც 22 ECTS კრედიტი საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებზე მოდის, 44 ECTS კრედიტი - საფაკულტეტო სავალდებულო კურსებია, 114 ECTS კრედიტი კი სპეციალობის სავალდებულო კურსებს ეთმობა. სპეციალობის სავალდებულო კურსებში 10-10 ECTS კრედიტით წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომი და პრაქტიკა. 60 ECTS კრედიტი არჩევითი კომპონენტია, რომელშიც შედის 10 ECTS კრედიტით საუნივერსიტეტო არჩევით სასწავლო კურსები, 8 ECTS კრედიტით საფაკულტეტო და 22 ECTS კრედიტით სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები. დარჩენილი 20 ECTS კრედიტი თავისუფალი კომპონენტის სახით არის წარმოდგენილი.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებები შევიდა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ. პროგრამის გადამუშავებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლები. პროგრამის და მისი კომპონენტების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდა ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროსების კლასიფიკატორთან“ (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N 69/ნ. 2019 წლის 10 აპრილი); დაიხვეწა პროგრამის სტრუქტურა და დიზაინი; დაზუსტდა სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე; დაიხვეწა სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები; შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; განახლდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

სწავლების ენა არის ქართული. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი. პროგრამაზე ბოლ 5 წლის განავლობაში გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა 120 დან 80 მდე შემცირდა. შემცირებულია ჩარიცხულ პირთა რაოდენობა. მიმდინარე სასწავლო წელს ჩირიცხა 17 სტუდენტი. პროგრამას ბოლო 5 წლის განმავლობაში ჰყავს ჩარიცხული 282 სტუდენტი, რომელთაგან სტატუსშეწყვეტილია - 48, სტატუსშეჩერებული - 206, 111

კურსდამთავრებულია და 155 აქტიური სტუდენტი. პროგრამაში ჩართულია 26 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 21 აფილირებულია. 2020 წელს კურსდამთავრებულთა 66% დასაქმდა, მათგან 23% კვალიფიკაციის მიხედვით. 22%-მა გააგრძელა სწავლა მაგისტრატურის საფეხურზე.
აღსანიშნავია, რომ პროგრამის გადამუშავების პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამამ გაიარა გარე ექსპერტიზა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 15 აპრილს ადგილზე ვიზიტის საფუძველზე. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა შეკითხვების ჩამონათვალი. უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტების და მასალების წარმოდგენის თხოვნა, მათ შორის: სხვადასხვა შეფასების მქონე საბაკალავრო ნაშრომები; სხვადასხვა შეფასების მქონე პრაქტიკის დღიური/ ანგარიში; საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა; ელექტრონულ რესურსულ ბაზებზე წვდომის სტატისტიკა. უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე.
შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია.
უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა შესაძლებლობას, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას უზრუნველყოფს. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 1.1, 2.1, 2.5, 2.6, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4 5.1, 5.2, 5.3 ქვესტანდარტები; მეტწილად შესაბამისობაშია 1.2, 2.2, 2.3, 2.4 ქვესტანდარტები.

- **რეკომენდაციები**

  - მოდიფიცირებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში აისახოს ასპექტი, სამიზნე ნიშნულიდან რა სიდიდის გადახრის შემთხვევაში განხორციელდება პროგრამის ცვლილება.
  - პროგრამაში საფაკულტეტო ან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენილი იქნას ,,ადამიანური რესურსების მართვის" სასწავლო კურსი.
  - რეკომენდებულია გადამოწმდეს დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებთან მიმართებით, როგორიცაა: ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი", ,,ტურიზმის მარკეტინგი", ,,ეკო, აგრო და ღვინის ტურიზმი", ,,ველნეს ტურიზმი" და დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ,,ტურიზმის საფუძვლები."
  - რეკომენდებულია სასწავლო კურსს: ,,ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი", ტურიზმის საფუძვლების გარდა, წინაპირობად დაემატოს მენეჯმენტის საფუძვლები;
  - რეკომენდებულია დაკორექტირდეს ,,ღონისძიების მენეჯმენტის და MICE ტურიზმი"-ს წინაპირობა: ტუროპერეიტინგის ნაცვლად აისახოს ტურიზმის საფუძვლები და მენეჯმენტის საფუძვლები.
  - რეკომენდებულია ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზები საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობებში და სასწავლო კურსის ,,ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები" სილაბუსში სემესტრული განაწილებისა და კურსზე დაშვების წინაპირობისასთან დაკავშირებით.
  - რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში (ტურიზმის მარკეტინგი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი, ტურისტული დესტინაციების მენეჯმენტი, ტურიზმის სტატისტიკა, ეკონომიკის პრინციპები, მარკეტინგის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ფინანსების თეორია, წერის უნარები, ტუროპერეიტინგი და ა.შ.) წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურის განახლება.
  - რეკომენდირებულია ,,საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესში" აისახოს ინფორმაცია კონკრეტული ინფორმაცია პლაგიატთან, ან ტექსტის დამთხვევის სამიზნე ნიშნულთან დაკავშირებით. ასევე, საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები და მექანიზმები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში და დაწესებულების ვებ-გვერდზე პირთა პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე, სამართლიან, საჯარო და ხელმისაწვდომ პროცედურებთან ერთად, აისახოს პროგრამის დაშვების წინაპირობების შესახებ - სავალდებულო საგნების/ენების ჩამონათვალი.

  - სასურველია პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში/მემორანდუმებში მიეთითოს სტუდენტთა რაოდენობა;

- სასურველია სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა და ჩართულობის წახალისება კვლევით პროექტებში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა ინტერანციონალიზაციის სტრატეგიის შესაბამიმსად ეფექტიანად აამოქმედოს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სასწავლო მობილობის პროგრამები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - მიმდინარე სასწავლო წელს ამოქმედდა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებზე ,,გესთ-სპიკერის" კომპონენტი. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელს დაწესებული აქვს სახელობითი პრიზი პროგრამის მიღმა აქტივობების წასახალისებლად. ამ ეტაპისთვის 9 პრიზიორია გამოვლენილი.
  - უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა გრანტების სისტემა და, ასევე, წახალისების მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფენ ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების გამოშვებას სამომავლოდ უნივერსიტეტისათვის აკადემიური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვების შემდეგ თუ ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში გააგრძელებს სწავლას აბიტურიენტი, მას სწავლის საფასური უნახევრდება, ხოლო დოქტორანტურაში სწავლა უფასოა. დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდგომ, იგი იკავებს აკადემიურ პოზიციას აღნიშნულ უნივერსიტეტში.
  - ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ ადგილზე პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით მოწყობილია სიმულაციური სივრცე (ტურიზმის ლაბორატორია) შესაბამისი ინვენტარით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშავა და აკრედიტაციის ჯგუფს წარმოუდინა პროექტი ,,ოკამი - ახალი ენო და აგროტურისტული დესტინაცია", რომლის ძირითადი იდეაა სოფელ ოკამის ტერიტორიაზე არსებული ,,ეთნო ოკამის" მეღვინეობის კომპანიის ბაზაზე ახალი ენო და აგროტურისტული დესტინაციის შექმნა ენო და აგროტურიზმის პოპულარიზაციისა და სტუდენტთა სამეწარმეო და მენეჯერული უნარების განვითარების მიზნით. პროექტში წარმოდგენილნი არიან მასში ჩართული მონაწილე სუბიექტები (16 სუბიექტი).

უნივერსიტეტი არის ენო ტურიზმის ასოციაციის დამფუძნებელი და ენო ტურიზმის მსოფლიო ასოციაციის წევრი.

ბიზნესის ფაკულტეტზე ფუნქციონირებას იწყებს ბიზნეს-ინკუბატორი, რომელიც ითანამშრომლებს ბაზრის კვლევის საკითხებზე სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაფასებლად წარმოდგენილი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა 2012-2013 სასწავლო წლიდან ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N678; 20.11.2012). ამ პერიოდიდან პროგრამის მსვლელობისას უამრავი ცვლილება განხორციელდა, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია რეაკრედიტაციის საჭიროებასთან. შესაფასებლად წარმოდგენილი მოდიფიცირებული პროგრამა დამტკიცდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2021 წლის 16 დეკემბერს (ოქმი N 03-2021). შეიცვალა ინგლისური ენის სწავლებისადმი მიდგომა და დამწყებთათვის გაიზარდა ინგლისურ ენაზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა; შეიცვალა საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები: დაემატა საქართველოს ისტორიის, პოლონური და ესპანური ენების, ასევე, მსოფლიო ლიტერატურის შედევრების, მსოფლიო ხელოვნების ისტორიის და მსოფლიო კინოს ისტორიის სასწავლო კურსები. ცვლილება განიცადა სპეციალობის სავალდებულო და არჩევითმა კურსებმაც. საფაკულტეტო სავალდებულო კურსებს დაემატა ბიზესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების კურსი, ხოლო სპეციალობის სავალდებულო კურსების მოდულს დაემატა - ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი, ტურიზმის სტატისტიკა, მდგრადი ტურიზმის განვითარება. აღნიშნული მოდულიდან სასწავლო კურსების ნაწილი გადანაცვლდა სპეციალობის არჩევით ბლოკში. მოხდა რიგი სასწავლო კურსების დასახელებების მოდიფიცირებაც. შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის შედეგები გადამუშავდა 2019 წლის 10 აპრილს დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად. ასევე, პროგრამის გადამუშავებაში გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა მოთხოვნების გამოკითხვის შედეგები, ტურიზმის სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციები და დარგობრივი მახასიათებლები. შეაფასებლად წარმოდგენილი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია: • მოამზადოს ტურიზმის სფეროს ფართო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე ბაკალავრის ხარისხის კონკურენტუნარიანი სპეციალისტები შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე დასაქმებისთვის;

- შესძინოს სტუდენტებს ცოდნა ტურიზმის სახეების, მიმართულებების, დესტინაციის გათვალისწინებით ტურისტულ, ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების და კულტურული მემკვიდრეობის მდგრადი პრინციპების გამოყენებით ტურისტული პროდუქტის შექმნის შესახებ; გაარკვიოს ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად ასპექტებსა და საკანონმდებლო რეგულაციებში.

- პროგრამა ასევე ორიენტირებულია განუვითაროს სტუდენტს ბიზნესის ადმინისტრირების, ტურისტული საქმიანობის (განთავსება, კვება, ტრანსპორტი, ტურისტული კომპანიები, საექსკურსიო მომსახურება) შესაბამისი მენეჯერული, პრაქტიკული უნარები, რათა სწრაფად ცვალებად გარემოში ტურისტული პოტენციალის, მომხმარებელთა მოთხოვნილებების, თანამედროვე ტექნოლოგიების, ფინანსურ-სტატისტიკური ანალიზის, კვლევის, ტურიზმის მართვის მეთოდების, მარკეტინგული დაგეგმვის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე, კურსდამთავრებულმა შეძლოს ტურიზმის სფეროში კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში, საშუალო რგოლის მენეჯერებად დასაქმება და/ან საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის, პროექტების დაგეგმვა/წარმატებით განახორციელება;

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე დაფუძნებული ღირებულებების განვითარებით კომპეტენტური კადრების მომზადება, რომელთაც გათავისებული ექნებათ პასუხისმგებლობა კულტურული მემკვიდრეობის და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე; დარგობრივი ტენდენციების, პრობლემათა გადაჭრის გზების შესაძლებლობებზე; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კომუნიკაციაზე (ზეპირი, წერითი) მშობლიურ და უცხო ენაზე.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში ასახულია ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც ექნება კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზნები ემსახურება იმ ცოდნისა და უნარების შეძენას, რომელიც ტურიზმის ინდუსტრიაში პრაქტიკული საქმიანობის წარმართვის უზრუნველყოფისთვის უმთავრესია და რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. მასში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები.
პროგრამა შეესაბამება ზოგადად უსდ-ის მისიას, რომელიც მიმართულია შექმნას თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემო ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდას.

ამ მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამაში ასახულია უცხო ენის სწავლების კომპონენტი, რაც მოიცავს ინგლისური ენის სწავლებას 10/15 ECTS კრედიტის მოცულობით (15 კრედიტი გათვალისწინებულია იმ სტუდენტებისთვის, ვისაც მისაღებ გამოცდებზე ჩაბარებული აქვთ სხვა უცხო ენა), ასევე, ესპანური და პოლონური ენის სასწავლო

კურსების შეთავაზებას 10-10 ECTS კრედიტის მოცულობით.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმები, სადაც გამოკვეთილია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებაზე დაგეგმილი ღონისძიებები. კერძოდ, კვლევების ინტერაციონალიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება როგორც მეცნიერებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის, ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტებთან პარტნიორობის განვითარება, სტუდენტების საერთაშორისო მობილობაში ხელშეწყობა და ა.შ. ამასთან, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 2018-2026 წლების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი. 18 უცხოურ უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი. აქტიურად მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის პროგრამები. პროგრამების გარე შეფასებაში ჩართულნი არიან უცხოელი ექსპერტები.

2021 წლის სექტემბერში ბიზნესის ფაკულტეტზე შეიქმნა ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. თითოეულ მათგანზე გადანაწილდა კონკრეტული დავალება. დამსაქმებლების მხრიდან შემოთავაზებული იქნა თვალსაზრისები MICE ტურიზმის სასწავლო კურსის, საერთაშორისო დაჯავშნის სისტემების სასწავლო კურსის, სასწავლო პროცესში მეტი პრაქტიკოსი ლექტორის ჩართვასთან დაკავშირებით, რაც აისახა პროგრამაში. პროგრამის ხელმძღვანელის, აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დაინტერესებული მხარეების მონაწილობით, მათი თვალსაზრისების გათვალისწინებით გადამუშავდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, მათი მიღწევის სწავლისა და სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსების ჩამონათვალი და სილაბუსების შინაარსი. განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები. 2021 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით, მოქმედი პროგრამისთვის პროგრამის განხორციელების დასაწყისში სამიზნე ნიშნულად შეირჩა 70%. (პროგრამის სწავლის შედეგები ჩაითვლება მიღწეულად თუ სტუდენტთა 70%-ს უფიქსირდება A, B, C, D შეფასება). ზოგიერთი შედეგის მიხედვით არ არის მიღწეული სამიზნე მაჩვენებელი. შესაბამისად, მოხდა როგორც პროგრამის მოდიფიცირება, ასევე, სამიზნე ნიშნულის შეცვლა. მოდიფიცირებული პროგრამის სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრულია 61 %. (პროგრამის სწავლის შედეგები ჩაითვლება მიღწეულად თუ სტუდენტთა 61%-ს უფიქსირდება A, B და C შეფასება). პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირ შესაფასებლად გამოიყენება: სტუდენტების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დასკვნითი შეფასებები; შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა და ფოკუს შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან.
აღსანიშნავია, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესი წარიმართა ,,საგანამანათლებლო პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ და ,,საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავეებისა და დამტკიცების წესის“ შესაბამისად. პროგრამის შედეგები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.
შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ის მისია და სტრატეგია;
- ,,საგანამანათლებლო პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ ;
- ,,საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავეებისა და დამტკიცების წესი“;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- აკადემიური საბჭოს სხდომის 2021 წლის 16 დეკემბრის სხდომის ოქმი N 03-2021;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ,, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“ თანხვედრაში, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. იგი შეესაბამება

კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის დონეს.

- **ცოდნა**

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- **აღწერს** ტურიზმის, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი ბიზნეს-სექტორის სახეებს, მიმართულებებს, დეფინიციებს, თეორიებს, კონცეფციებს, პრინციპებს, ტურისტული იდუსტრიის, ტურისტული პროდუქტის ფორმირების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ფინანსების თეორიულ საფუძვლებს და მათ როლს დარგის განვითარებისთვის;

- **განიხილავს** საბაზარო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს (ეროვნულ, საერთაშორისო) ბიზნესში და ტურიზმში, საქმიანობისთვის აუცილებელი სტატისტიკური, საკომუნიკაციო-საინფორმაციო თანამედროვე ტექნოლოგიების, ბიზნესის კვლევის მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას;

- **აცნობიერებს** ტურიზმის განვითარების მდგრადი პოლიტიკის და საკანონმდებლო ბაზის ზეგავლენას ცვალებად ბიზნეს გარემოზე.

2. **გაცნობიერება**

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- **ახდენს** საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, მსოფლიო ტურისტული ცენტრების პოტენციალის და ხარისხობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას დანიშნულების ადგილის მიხედვით და აკავშირებს ტურიზმის შესაბამისი სახეებისა და მიმართულებების განვითარებასთან;

- **მონაწილეობს** ტურისტულ საწარმოთა მართვასა და პროდუქტების პროექტირებაში, მომსახურების ეფექტიანი თემატური პროგრამების შემუშავებაში, სამომხმარებლო ფასეულობების შექმნაში; ტურისტულ რესურსებთან ერთად **იყენებს** სტატისტიკურ მაჩვენებლებს, ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდებს და სხვა საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებს: საერთაშორისო დაჯავშნის სისტემებს, (სასტუმროს მართვის პროგრამას opera) და ა.შ. ქმნის პოტენციურ მომხმარებლთა შეთავაზება - გაყიდვის სტიმულირების ფორმებს;

- **აანალიზებს** ტურისტული ინდუსტრიის სექტორების (განთავსება, კვება, ტრანსპორტი, ტურისტული კომპანიები, ღონისძიებების ორგანიზება-მართვა) ურთიერთკავშირს, ტენდენციებს, წამოჭრილ პრობლემებს, მოსალოდნელ საფრთხეებს; მარკეტინგული კვლევის მონაცემთა დაკავშირება-შეფასების საფუძველზე ახდენს მათი გადაჭრის სტრატეგიების დაგეგმვას სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით;

- ხელმძღვანელის რეკომენდაციებით და პროფესიული ინტერესის შესაბამისად **ქმნის** ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ კვლევით /ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ ნაშრომს და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახორციელებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას მშობლიურ ან უცხო ენაზე, ტურიზმში მონაწილე ყველა სუბიექტთან.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ტურისტულ სექტორში საქმიანობის პროცესში **იცავს** ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსის ნორმებს, პატივს სცემს სხვა ერების ღირებულებებს, კულტურას, ტრადიციებს, მოქმედებს სამართლებრივი და პროფესიული პასუხისმგებლობის პრინციპების შესასაბამისად;
- პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების შესაბამისად **ზრუნავს** საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე, აფასებს დარგის მუდმივად დინამიურ ხასიათს და **დამოუკიდებლად გეგმავს** კომპეტენციების გაუმჯობესებისთვის სწავლის შემდეგ დონეზე გაგრძელების პროცესს, ადგილობრივ და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დაადასტურეს დაინტერესებულმა მხარეებმა: ადმინისტრაციამ, აკადემიურმა პერსონალმა, მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მათთვის გაცნობილი იქნა სწავლის შედეგები.

პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან, სადაც საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარები მოითხოვება რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად.

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა. ასევე, პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, სადაც დაცულია პროგრამის სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა შედეგების გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალობის არჩევით კურსად შემოთავაზებულია ,,ლიდერობა და გუნდური მუშაობა“, ასევე, ,,ბიზნესის საფუძველების“ და ,,მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსებში შესაბამისი თემები ეთმობა ადამიანური რესურსების მართვას, კვალიფიკაციიდან გამომდინარე (იგულისხმება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში), მიზანშეწონილია საფაკულტეტო ან სპეციალობის სასწავლო კურსის სახით პროგრამით შეთავაზებული იქნას ,,ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების (პსშ) მექანიზმის დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება რეგულირდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით. ამ დოკუმენტის მიხედვით განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. საგანმანათლებლო (როგორც მოქმედი, ასევე მოდიფიცირებული) პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნული. თუმცა არ არის დადგენილი სამიზნე ნიშნულიდან გადახრის მაჩვენებელი და პირობა, რა შემთხვევაში მოხდება პროგრამის მოდიფიცირება.

შედეგების შეფასების ანალიზი, მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება გამოყენებულია პროგრამის გაუმჯობესებისთვის, საჭიროების შემთხვევაში პროგრამის

მიზნების/ შინაარსის/სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მოდიფიცირებისთვის. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაისვა შეკითხვა თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი სტასტუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების ასევე, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობების შესახებ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს მოცმულობა განპირობებულია კოვიდ-პანდემიის შედეგებით, თუმცა შეიქმნა სპეციალური სტრატეგიული კომუნიკაციების ჯგუფი, რომლის საქმიანობაც მიმართულია აბიტურიენტებთან ურთიერთობაზე და მათ მოზიდვაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან; ○ თვითშეფასების კითხვარი.
რეკომენდაციები: ○ მოდიფიცირებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში აისახოს ასპექტი, სამიზნე ნიშნულიდან რა სიდიდის გადახრის შემთხვევაში განხორციელდება პროგრამის ცვლილება. ○ პროგრამაში საფაკულტეტო ან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენილი იქნას ,,ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაზუსტდა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, კერძოდ: ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52). ✓ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი. ✓ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ✓ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე. აღნიშნული პროცედურები საჯარო და ხელმისწავდომია დაწესებულების ვებ-გვერდზე, თუმცა წარმოდგენილი ინფორმაცია უფრო ზოგადი ხასიათის განაცხადია და არ მიუთითებს კონკრეტულ წინაპირობებზე, სასურველია აუცილებელ პროცედურებთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამაში და ვებ-გვერდზე დაინტერესებული მხარეებისათვის აისახოს დაწესებულების მხრიდან განსაზღვრული კრიტერიუმები - სავალდებულო საგნების/უცხო ენების ჩამონათვალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში და დაწესებულების ვებ-გვერდზე პირთა პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე, სამართლიან, საჯარო და ხელმისაწვდომ პროცედურებთან ერთად, აისახოს პროგრამის დაშვების წინაპირობების შესახებ - სავალდებულო საგნების/უცხო ენების ჩამონათვალი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დაცვით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მოცულობა არის 240/245 კრედიტი და მოიცავს 8 სემესტრს. პროგრამის კურიკულუმში/სასწავლო გეგმა წარმოდგენილია საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, აგრეთვე საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, არჩევითობის პრინციპი უზრუნველყოფილია თავისუფალი კრედიტების ფარგლებში, რომლის თანახმადაც სტუდენტს შეუძლია სასწავლო კურსის არჩევა უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი პროგრამიდან სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის დაცვით. სამიზნე ფოკუს ჯგუფებთან აკრედიტაციის ვიზიტის/გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები, მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი სემესტრების მიხედვით არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად განაწილებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მთელ რიგ სასწავლო კურსებთან მიმართებით არის ადეკვატური, თუმცა გარკვეულ სასწავლო კურსებთან რეკომენდებულია გადამოწმდეს დაშვების წინაპირობები, კერძოდ: ტურიზმის საფუძვლები უნდა განისაზღვროს წინაპირობად შემდეგ სასწავლო კურსებზე: ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი“, ,,ტურიზმის მარკეტინგი“, ,,ეკო, აგრო და ღვინის ტურიზმი“, ,,ველნეს ტურიზმი”. ასევე, სასწავლო კურსს ,,ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი” ტურიზმის საფუძვლების გარდა წინაპირობად დაემატოს მენეჯმენტის საფუძვლები. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში: ,,ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი”, ,,ღონისძიების მენეჯმენტის და MICE ტურიზმი” კურსზე დაშვების წინაპირობები არ არის წარმოდგენილი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე თანდართული დოკუმენტის - ,,გარე ექსპერტის შეფასება” რეკომენდაციის მიხედვით, თუმცა ხაზგასმულია, რომ აღნიშნული კორექტირება განხორციელდა. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს დროს სასწავლო კურსის ლექტორთან დაზუსტდა, რომ ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების სილაბუსში ასახული სემესტრული გადანაწილება და კურსზე დაშვების წინაპირობა ტექნიკური ხარვეზია, თუმცა იგი საჭიროებს კორექტირებას. ამასთან, ინტერვიუს დროს დაზუსტდა,

რომ ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს არჩევითი სასწავლო კურსის - ,,სატრანსპორტო მომსახურება და გადაზიდვები“ საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად მითითება. სასწავლო კურსების სილაბუსებში: რეგიონული ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა, შრომის ეკონომიკა წინაპირობად მითითებულია მაკროეკონომიკა, რაც არ არის წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი-სასწავლო გეგმა; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია გადამოწმდეს დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებთან მიმართებით, როგორიცაა: ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი“, ,,ტურიზმის მარკეტინგი“, ,,ეკო, აგრო და ღვინის ტურიზმი“, ,, ველნეს ტურიზმი“ და დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ,,ტურიზმის საფუძვლები”. ○ რეკომენდებულია სასწავლო კურსს: ,,ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი”, ტურიზმის საფუძვლების გარდა, წინაპირობად დაემატოს მენეჯმენტის საფუძვლები; ○ რეკომენდებულია დაკორექტირდეს ,,ღონისძიების მენეჯმენტის და MICE ტურიზმი”-ს წინაპირობა: ტუროპერეიტინგის ნაცვლად აისახოს ტურიზმის საფუძვლები და მენეჯმენტის საფუძვლები. ○ რეკომენდებულია ჩასწორდეს ტეექნიკური ხარვეზები საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობებში და სასწავლო კურსის ,,ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები” სილაბუსში სემესტრული განაწილებისა და კურსზე დაშვების წინაპირობისასთან დაკავშირებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ ადგილზე პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით მოწყობილია სიმულაციური სივრცე (ტურიზმის ლაბორატორია) შესაბამისი ინვენტარით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა - საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია კურსის სპეციფიკის, შინაარსის და მოცულობის გათვალისწინებით, შესაბამისად საგნები 3, 4, 5 ან 6 კრედიტიანია.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, ბიბლიოთეკის პერსონალთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 2010 წლიდან არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი და ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ელექტრონული სახელმძღვანელოებით. 2012 წლიდან უნივერსიტეტი გაწევრიანებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, როგორც ბიბლიოთეკათშორისი აბონენტი. ასევე, იგი დარეგისტრირებულია ასოციაცია „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“ – EIFL", მონაწილეთა კონსორციუმის წევრად და მინიჭებული აქვს უფლება, გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:EBSCO Publishing, Academic Search Elite, Business Source Elite, Regional Business News, MasterFILE Elite.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების მეტ წილში წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურა ახალია, სასწავლო მასალა დაფუძნებულია

სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, თუმცა გარკვეულ სასწავლო კურსებთან (ტურიზმის მარკეტინგი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი, ტურისტული დესტინაციების მენეჯმენტი, ტურიზმის სტატისტიკა, ეკონომიკის პრინციპები, მარკეტინგის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ფინანსების თეორია, წერის უნარები, ტუროპერეიტინგი და ა.შ.) რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში (ტურიზმის მარკეტინგი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი, ტურისტული დესტინაციების მენეჯმენტი, ტურიზმის სტატისტიკა, ეკონომიკის პრინციპები, მარკეტინგის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ფინანსების თეორია, წერის უნარები, ტუროპერეიტინგი და ა.შ.) წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურის განახლება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში წახალისებულია სხვადასხვა აქტივობები/ღონისძიებები სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსურლებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ყოველწლიურ კონფერენციებში, ისე პარტნიორი უნივერსიტეტების, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად; პრაქტიკა გათვალისწინებულია VIII სემესტრში და მას ეთმობა 10 კრედიტი. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულები პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები (სასტუმროები, ტურისტული სააგენტოები), რომლებიც ამავდროულად არიან პოტენციური დამსაქმებლები, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ორივე მხარის ინტერესების დაცვით, თუმცა სასურველია, პრაქტიკის პირობით ხელშეკრულებაში აისახოს პრაქტიკანტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.

ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია 10 კრედიტიანი საბაკალვრო ნაშრომი, რომელსაც სტუდენტი ირჩევს და რეგისტრირდება დამამთავრებელ კურსის მერვე სემესტრში. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბაკალავრო ნაშრომების შემოწმებისას გამოიკვეთა რომ რეკომენდებულია ,,საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესში" აისახოს კონკრეტული ინფორმაცია პლაგიატთან, ან ტექსტის დამთხვევის სამიზნე ნიშნულთან დაკავშირებით. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები მოცემულია კანცლერის 2018 წლის 26 აპრილის N 01-38 (ეთიკის კოდექსი) ბრძანების მე - 11-ე მუხლში, ასევე, ამავე წლის N 01-39 (პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი) ბრძანებაში.

ასევე, გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში გასათვალისწინებელი პროცედურები.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ისაუბრეს, თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი კვლევითი პრობლემების დამუშავებაში, რომლებიც პროფესორთა კვლევების ინტერესს წარმოადგენენ. ასევე ჩართულნი არიან საერთაშორისო კონფერენციებში და პროექტებში. უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ კვლევითი პროექტების განხორციელებაში; სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში, ჯგუფური პროექტების დამუშავება და პრეზენტაციები ხელს უწყობს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი;
- კანცლერის 2018 წლის 26 აპრილის N 01-38 და N 10-39 ბრძანებები.
- სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის დამადასტურებელი

სტატისტიკური მონაცემები; ○ სამეცნიერო კონფერენციების მასალები, ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაციები; ○ ახალგაზრდა მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის საგრანტო კონკურსის მასალები; ○ უნივერსიტეტის ფუნდამენტური კვლევების გრანტების და მცირე სამეცნიერო გრანტების კონკურსის მასალები. ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია „საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესში" აისახოს ინფორმაცია კონკრეტული ინფორმაცია პლაგიატთან, ან ტექსტის დამთხვევის სამიზნე ნიშნულთან დაკავშირებით. ასევე, საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები და მექანიზმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში/მემორანდუმებში მიეთითოს სტუდენტთა რაოდენობა; ○ სასურველია სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა და ჩართულობის წახალისება კვლევით პროექტებში,
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და სასწავლო კურსების შინაარსს. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილი მეთოდები და აქტივობები არის მრავალფეროვანი, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ინტერაქციული ლექცია, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი და ა.შ. პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში, აღნიშნული სტუდენტებმა დაადასტურეს აკრედიტაციის ვიზიტზე გასაუბრებისას სესიაზე: ,,შეხვედრა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან" .
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტში სტუდენტის შეფასების სისტემა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულებით (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი №3, 10.03.2017 წ.).

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება;

- თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ და ფასდება 20 ქულით;
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულა.
- დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა. ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 16 ქულის ტოლია;
- დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;

  შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი თავისი პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

იღებს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალიდან. ესენია: დეკანი, ფაკულტეტის აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამსახური, ბიბლიოთეკა, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი;

მეათე სემესტრში მყოფმა სტუდენტს, ოჯახური პრობლემების გამო (დედის ავადმყოფობა), მოუწია ორი სემესტრის შეჩერება და მოგვახსენა, თუ რამდენად ეხმარება უნივერსიტეტი და მისი ადმინისტრაცია თითოეულ სტუდენტს სასწავლო პროცესში აღმოჩენილი ადმინისტრაციული და აკადემიური პრობლემების მოგვარებაში. აკადემიური პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი უზრუნველყოფილია ფაკულტეტის, აკადემიური პროცესის მართვის სამსახურისა და პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან მხარდაჭერით. იმის მიხედვით, თუ როგორი სახის აკადემიური მხარდაჭერა სჭირდება სტუდენტს, დაისახება კონკრეტული გზა პრობლემის აღმოსაფხვრელად.

სემესტრის დასაწყისში პროფესორი ადგენს საკონსულტაციო საათების განრიგს, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ კონსულტაცია მიიღონ პროფესორებისაგან სასწავლო კურსთან და ზოგადად, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. პროფესორ-მასწავლებლები კონსულტაციებს ატარებენ ყოველ კვირას, 15 კვირის განმავლობაში, რაც სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს.

გარდა იმისა, რომ კონსულტაციების ჩატარების დღე და დრო მითითებულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, კონსულტაციების ცხრილი გამოკრულია ფაკულტეტზეც, ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას.

ინტერვიუს დროს კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტნი პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, რაც ასევე დადასტურდა ბიბლიოთეკაში არსებული მასალებით და სერთიფიკატებით. აგრეთვე სტუდენტებს აქვთ შანსი, ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, თუმცა არც-ერთი კურსდამთავრებული და სტუდენტი გასაუბრებიდან არ იყო „Erasmus+”-ის მონაწილე.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემის „გონი“-ს საშუალებით. პირად გვერდზე ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იდება და სტუდენტი ყოველთვის ინფორმირებულია.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც მუდმივად ზრუნავს კურსდამთავრებულთა დასაქმების პრობლემაზე. უნივერსიტეტში ხშირად იმართება დასაქმების ფორუმები, რომლებზედაც ქვეყნის წამყვანი ორგანიზაციების, სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურის წარმომადგენლები სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს სათანადო კონსულტაციებს უწევენ დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და შესაბამის სამუშაოს სთავაზობენ. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ასევე სემესტრის განმავლობაში მინ. 2 მოწვეული

სპიკერი უზიარებთ საკუთარ გამოცდილებას და ლექციები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ ბიზნესის ფაკულტეტის დებულება; ○ აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის დებულება; ○ ციფრული სერვისების განვითარების სამსახურის დებულება; ○ ბიბლიოთეკის დებულება; ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა, „გონი“; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ კონსულტაციების ცხრილი; ○ „moodle-ში გამოცდების ჩატარების წესი“; ○ დასაქმების ფორუმების ამსახველი მასალები; ○ სტუდენტებთან, კურსდამტავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, უნივერსიტეტმა ინტერანციონალიზაციის სტრატეგიის შესაბამიმსად ეფექტიანად აამოქმედოს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სასწავლო მობილობის პროგრამები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზ
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ

პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, მასზე თანდართულ დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესწავლილ იქნა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მონაცემები და გამოცდილება, რათა დაგვედგინა, რამდენად ფლობენ ისინი პროგრამით გათვალისწინებული სწავის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციას. დადგინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენცია შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ კრიტერიუმებთან. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 26 აკადემიური პერსონალი. მათ შორის 2 პროფესორი, 22 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი, 1 ასისტენტი, მოწვეულია 15 პედაგოგი. ზემოაღნიშნული აკადემიური პერსონალიდან, აფილირებულია 2 პროფესორი, 17 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი, 1 ასისტენტი. აკადემიური პერსონალის CV-ების შესწავლის შედეგად ჩანს, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი სასწავლო კურსების სწავლებისათვის საჭირო სათანადო კვალიფიკაცია. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიდან და ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამის აქტიური სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში; მათ შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია პროგრამის პროფილის შესაბამისი როგორც აკადემიური კვალიფიკაცია, ასევე, პროფესიული საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს უშუალო კავშირი სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. მათგან სისტემატურად იღებს ინფორმაციას პროგრამის განვითარების საჭიროებების შესახებ. იგი მრავალი ინიციატივის ავტორია, რომლებიც პროგრამის სრულყოფას და ეფექტიანობის ზრდას უზყობენ ხელს. მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელის პრიზი; ,,გესთ-სპიკერის“ საათი; ლექციები არასააუდიტორიო სივრცეებში; მოწინავე კადრების მოძიების და პროგრამაში ჩართვა; ტურიზმის ლაბორატორიის შექმნა; სტუდენტების ხელმძღვანელობა საერთაშორისო კონფერენციებისათვის და ა.შ.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალი, რაც დასტურდება სასწავლო პროცესის მართვის ეფექტიანი უზრუნველყოფით, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სპეციალური გამოკითხვის ფორმებით, ასევე, სტუდენტებთან გასაუბრებისა და სამუშაო ჯგუფებთან ინტერვიუების შედეგად. ისინი დეტალურად ფლობენ ინფორმაციას მათი ფუნქცია-მოვალეობების და ვალდებულებების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს. აღნიშნულის განსახორციელებლად იგი ახდენს ლექციებზე დასწრებას, აფასებს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს, ასევე სასწავლო და კვლევითი პროცესის მიმდინარეობას, წინასწარ დადგენილი პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წერს დასკვნას და რეკომენდაციებს, რომელიც ეგზავნებათ ფაკულტეტის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს, ხარვეზის გამოსწორების მიზნით.

უსდ-ში ვიზიტის დროს, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ პროფესორ-მასწავლებლები სემესტრის დასაწყისში იღებენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსახორციელებელი შეფასების შესახებ ინფორმაციას, წინასწარ ეცნობიან შეფასების კრიტერიუმებს, შინაარსს და შეფასების საჭიროებას. აგრეთვე, უსდ ყოველსემესტრულად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას ელექტრონული მართვის სისტემის (გონის) საშუალებით. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ ყოველი სემესტრის ბოლოს შეაფასონ, როგორც ლექტორი, ასევე, სასწავლო კურსი და სილაბუსი. სტუდენტებმა დააფიქსირეს კმაყოფილება აღნიშნული შესაძლებლობის ქონის გამო.

უსდ-ში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, სადაც აქტიურად იღებენ მონაწილეობას ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები. ბიბლიოთეკაში ინახება ჩატარებული კონფერენციების შრომების კრებულები და პროგრამები წლების მიხედვით. აღსანიშნავია აგრეთვე პანდემიის პერიოდში ჩატარებული ონლაინ-კონფერენციები, რომელიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებზე. უსდ-ში ფუნქციონერებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებლების თანამშრომლობას უცხოურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან. უსდ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი გასცემს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და ატარებს ტრენინგებს დონორი ორგანიზაციებიდან სამეცნიერო პროექტებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების დაფინანსების მოსაპოვებლად. 2019 წლიდან უნივერსიტეტი სრულად აფინანსებს აფილირებული აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევარების სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხარჯებს იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში, ისინი აქვეყნებენ სამეცნიერო პუბლიკაციებს რეფერირებად გამოცემებში.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა გრანტების სისტემა და ასევე წახალისების მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფენ ახალგაზრდა სამეცნიერო - აკადემიური კადრების გამოშვებას სამომავლოდ უნივერსიტეტისათვის აკადემიური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესი;
- აკადემიური აქტივობების დაფინანსების წესი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა გრანტების სისტემა და, ასევე, წახალისების მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფენ ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების გამოშვებას სამომავლოდ უნივერსიტეტისათვის აკადემიური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვების შემდეგ თუ ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში გააგრძელებს სწავლას აბიტურიენტი, მას სწავლის საფასური უნახევრდება, ხოლო დოქტორანტურაში სწავლა უფასოა. დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდგომ, იგი იკავებს აკადემიურ პოზიციას აღნიშნულ უნივერსიტეტში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური

აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: უსდ-ში აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და საინფორმაციო–საკომუნიკაციო საშუალებებით; უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოთხი კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით. უნივერსიტეტში 2018 წლიდან ფუნქციონირებს ახალი ბიბლიოთეკა, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზებით, საბიბლიოთეკო ფონდებთან მკითხველის თავისუფალი დაშვებით, იზოლირებული შეხვედრების ოთახებით, საკონფერენციო ოთახით და ბიბლიოთეკარების სამუშაო სივრცით. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა. აგრეთვე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებით. უსდ 2014 წლიდან მონაწილეობდა TEMPUS-ის საგრანტო პროექტში აღნიშნული პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტს გადაეცა 17.000 ევროს ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა. ამავე პროექტის ბიუჯეტით (2.000 ევრო) უსდ-მ შეიძინა ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა ბიბლიოთეკისთვის. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ტურიზმის ლაბორატორია, რომლის საქმიანობასაც წარმართავს ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტს არჩევით დისციპლინად საშუალება აქვს შეისწავლოს სასტუმროს ინდუსტრიაში მართვის ცნობილი სისტემა OPERA (PMS). ასევე, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიზნეს-ინკუბატორი, სადაც ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის შექმნილია პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ფაკულტეტზე შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან; ○ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტი, ასევე საკუთრივ ტურიზმის პროგრამის ბიუჯეტი. ორივე ბიუჯეტის პარამეტრები ნათლად აჩვენებს, რომ უსდ უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროებებს სრულფასოვნად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წელს აქტური სტატუსის სტუდენტთა რიცხოვნობა შედარებით მცირეა, რაც შესაბამისად უარყოფითად აისახება შემოსავალების ნაწილზე, უსდ-მ უზრუნველყო აქტიური ღონისძიებების ჩატარება აბიტურიენტთა და სტუდენტთა შორის, პროგრამაზე მათი მოზიდვის მიზნით. ზემოაღნიშნულს მოწმობს, როგორც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით წარმოდგენილი მასალები, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ფაკულტეტის ბიუჯეტი; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, უნივერიტეტის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით იკვეთება, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომლის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა უსდ-ში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.
საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავების შემდეგ განსახილველად მიეწოდება უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სადაც მოწმდება პროგრამის შესაბამისობა საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. დადებითად

შეფასების შემთხვევაში პროგრამა განსახილველად/დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რის შემდეგაც გამოიცემა დადგენილება პროგრამის დამტკიცების შესახებ.

ცხადია, რომ უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების გზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ/ ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების მომზადებაში, სტანდარტებთან მიმართებით ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში, გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში. რასაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას მარეგულირებელი დებულებები.

კარგად არის დაგეგმილი განსახორციელებული პროცედურები, რაც მიმდინარე პროცესების შეფასების საფუძველია.

შეფასების შედეგებზე დაფუძნებით მიმდინარეობს შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" პრინციპის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია, რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები; რაოდენობრივი, თვისებრივი მონაცემები, რაც დასტუდება წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტით და ინტერვიუებში გაჟღერებული ინფორმაციით.

გასაუბრებებით ასევე იკვეთება, რომ უსდ-ში სისტემატურად მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, მათი კმაყოფილების კვლევა სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო ფონდების განახლების მიზნით და სხვ.

პერიოდულად მიმდინარეობს კითხვარების განახლება. გამოკითხვის პროცესში ფაკულტეტი იყენებს, როგორც საუნივერსიტეტო დონეზე რეკომენდირებულ, ისე დამატებით კითხვარებს, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

აქტიური დატვირთვა აქვს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მუდმივ რეჟიმში ხდება კონსულტაციების გაწევა აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალისთვის, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუდმივად, პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით, მიმდინარეობს სწავლისა და სწავლების, კვლევის პროცესების, ადმინისტრირებისა და სერვისების ტრანსფორმირება ელექტონულ პორტალებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ უსდს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება დაგეგმილია გარკვეული კრიტერიუმების გამოყენებით, ანალიზის საფუძველზე კი მიმდინარეობს გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება. პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება აკადემიურ საბჭოს. მნიშვნელოვანია, რომ სწავლების ხარისხის შიდა შეფასება სისტემატური და უწყვეტი პროცესია.

გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა, რომ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან და შესაბამის ფაკულტეტთან ერთად ლექციებზე დასწრება მეცადინეობების მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების მიზნით.

დასწრებისას ფოკუსი კეთდება: მეცადინეობის დროულ დაწყებაზე, სასწავლო თემის შესაბამისობაზე სილაბუსში მოცემულ სასწავლო გეგმასთან, ლექტორის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ ცოდნაზე, სწორ კომუნიკაციაზე სტუდენტებთან, პოზიტიური გარემოს უზრუნველყოფის, სწავლების თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარების ფლობასა და სხვა

პროცესი გამჭვირვალეა და გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისა და მისი მოდიფიცირების პროცესის სწორად წარმართვის მიზნით, ხარისხის სამსახური იყენებს პროგრამის შეფასების უკვე არსებულ შედეგებს.
ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთა თქმით, 2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრიდან ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტში შემუშავდა ელექტრონული სწავლების წესი.
ციფრული სერვისების განვითარების სამსახურის მიერ პროფესორ-მასწავლებელთათვის მომზადდა საინფორმაციო ტიპის ვიდეო გაკვეთილები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ახალი ფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოხდა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, შედეგების ანალიზი და შეფასება.
ელექტრონული სწავლების პროცესში, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და შუალედური და დასკვნითი გამოცდების უხარვეზოდ ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა სარეკომენდაციო პაკეტი.
ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ატარებს ფაკულტეტის თანამშრომელთა და პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვას, ელექტრონული სწავლების პროცესში გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის თვალსაზრისით. შემდეგ აანალიზებს გამოკითხვის შედეგებს მათ აღმოსაფხვრელად საჭირო პროცესების დაგეგმვის მიზნით.
პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე.
ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის მიერ გამოყენებული ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმები გამართულია.
შეხვედრებისას ინტერვიუებში იკვეთება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის.
ინტერვიუებში აღინიშნა, რომ პერსონალის შეფასების შედეგები გაითვალისწინება პროგრამის განვითარების პროცესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.
აკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, პროფესორები)
დოკუმენტების შესწავლა, გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულებისა და შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე.
ასევე სასწავლო პროცესის მონიტორინგი, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, შეფასება და განვითარება, პერსონალის საქმიანობის, სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასება და სრულყოფა, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია, პერიოდული კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება. მიმართულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასაუბრებებით ასევე კარგად ჩანს, რომ ხარისხის

შიდა შეფასების მიზნით აქტიურად გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემაც, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონეტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეფექტიანობის მართვა“; ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ ბიზნესის ფაკულტეტის დებულება; ○ აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის დებულება; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები (ანკეტა-კითხვარებით საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის, პროფესორის, სილაბუსის და ა. შ. შეფასების შესახებ); ○ პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშები. ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზიტის მიმდინარეობისას ინტერვიუებში

გაჟღერებული ინფორმაციით მკაფიოდ ჩანს, რომ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის მომზადებისას ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნით, გარე შეფასების ფარგლებში გაანალიზდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი მიღწევის კომპონენტები, სწავლება-სწავლის მეთოდები, სადაც ჩართული იყვნენ როგორც პოტენციური დამსაქმებლები, ასევე დარგის წამყვანი სპეციალისტები.

მაგალითად, დამსაქმებლებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ მათი რეკომენდაციით პროგრამის სასწავლო კურიკულუმს დაემატა კურსი: "ღონისძიებათა მენეჯმენტი" და "MICE ტურიზმი".

კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ ისინი ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავებაში: მათი რეკომენდაციით გამრავალფეროვნდა უცხო ენების სწავლების მიმართულება და ამ მიზნით, დაემატა მეორე სავალდებულო უცხო ენა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მომზადებისას პროგრამა დაედარა ანალოგიებს ევროპულ უნივერსიტეტებთან:

- ✓ ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა - https://int.krok.edu.ua/en/programs/all-courses/study-tourism
- ✓ ალკალას უნივერსიტეტი, მადრიდი, ესპანეთი https://www.uah.es/en/estudios/estudiosoficiales/grados/Degree-in-Tourism/
- ✓ ბალტიის საერთაშორისო აკადემია, რიგა, ლატვია https://bsa.edu.lv/en/courses/tourism-andhospitality-management/
- ✓ ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერებების სახელმწიფო უნივერსიტეტი https://www.kvk.lt/en/program/tourism-business/
- ✓ შიაულიაის გამოყენებითი მეცნიერებების სახელმწიფო უნივერსიტეტი, შიაულაი, ლიეტუვა https://svako.lt/en/degree-studies/study-programmes/business-and-public-administration/tourism-andhotels
- ✓ ტურიზმი და სასტუმროები, სინერგიის უნივერსიტეტი, ბიელინა, ბოსნია და ჰერცეგოვინა https://upis.sinergija.edu.ba/study_programme/turizam-i-hotelijerstvo
- ✓ ბურგოსის უნივერსიტეტი, ესპანეთი: https://www.ubu.es/grado-en-turismo/informacionbasica/presentacion-del-titulo

მაგალითად: ალკალას უნივერსიტეტის ტურიზმის პროგრამასა და წარმოდგენილ პროგრამაში სასწავლო კურსების თანხვედრა წარმოდგენილია შემდეგინკლასიფიკაციით: ეკონომიკის პრიციპები - ECONOMICS; ტურიზმის სტატისტიკა - STATISTICS APPLIED TO TOURISM; ტურიზმის მარკეტინგი - TOURISM MARKETINGI; მსოფლიო ტურისტული ცენტრების გეოგრაფია - TOURISM GEOGRAPHY; შესავალი ბუღალტრულ აღრიცხვაში - ACCOUNTING I;

ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2.

ტურიზმის პოლიტიკა და საკანონმდებლო ბაზა - TOURISM BUSINESS LAW;

მდგრადი ტურიზმის განვითარება / ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი - TOURISM AND ENVIRONMENTAL SUSTAINABILITY;

საბაკალავრო ნაშრომი - DEGREE FINAL PROJECT;

პრაქტიკა - XTERNAL PRACTICAL TRAINING;

კვებისა და სასმელების ინდუსტრია ტურიზმში - FOOD AND TOURISM;

სასტუმროს მენეჯმენტი - HOTEL MANAGEMENT;

პროფესიული ინგლისური ტურიზმისთვის- 1; პროფესიული ინგლისური ტურიზმისთვის- 2 - ENGLISH FOR TOURISTIC BUSINESS;

ტურიზმის ეკონომიკა - ECONOMIC POLICY IN TOURISM;

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პროგრამას აქვს გარე შეფასება ერთი უცხოელი და ორი ქართველი გარე ექსპერტის მიერ.

პროგრამის ხელმძღვანელთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი

რეკომენდაციებიდან დიდი წილი გათვალისწინებულია პროგრამის მომზადების პროცესში. **მ. მ. რეკომენდაციების გათვალისწინებით:** პროგრამაში წარმოდგენილ პრაქტიკას წინაპირობად დაემატა სასწავლო კურსი „ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი“; სასწავლო კურსს „ტურიზმის პოლიტიკა და საკანონმდებლო ბაზა“ წინაპირობად დაემატა „ტურიზმის სტატისტიკა“; **მ. ა. რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე** სასწავლო კურსს „ღონისძიებების მენეჯმენტი - MICE ტურიზმი“ შეეცვალა წინაპირობა და „ტუროპერეიტინგის ნაცვლად წინაპირობად განესაზღვრა „ტურიზმის საფუძვლები“ და „მენეჯმენტის საფუძვლები“; სასწავლო კურსს „საექსკურსიო მენეჯმენტი - გიდის ხელოვნება“ წინაპირობად განესაზღვრა „მენეჯმენტის საფუძვლები“; უცხოელი ექსპერტის დოქტორ ს.კ.(ISDSM აკადემიის უფროსი მენეჯერი, ტურიზმის სწავლების ინსტიტუტი. მალტის უნივერსიტეტი) შეფასებით, პროგრამაში მოცემული საკმაოდ მაღალი პრაქტიკული კომპონენტის წილი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების რელევანტურობას. წარმოდგენილი პროგრამა კი კონკურენტურიანი სპეციალისტების მომზადების საშუალებას სრულად იძლევა. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან" არსებული ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ; ○ სსიპ "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან" არსებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის გარე ექსპერტთა შეფასებები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებებით ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება უსდ-ში მუდმივი და უწყვეტი პროცესია, რაც პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველია- პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამის მონიტორინგის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეგიდით სისტემატურად მიმდინარეობს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველსემესტრული შეფასება; აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის შეფასება; კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვა; დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახდენს მონაცემების დამუშავებას, გაანალიზებას და შეფასებას, შედეგების ანალიზის საფუძველზე ახდენს პროგრამის მოდიფიცირებას. პროგრამის ხელმძღვანელი აფასებს პროგრამას და საჭიროების შემთხვევაში, მოდიფიცირებასთან დაკავშირებით წინადადებებს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, დეკანის მიერ კი ფაკულტეტის საბჭოს, დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა და სილაბუსები აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მოხდა პროგრამის სტრუქტურაში კურსების თანმიმდევრობის, კურსების კრედიტების ცვლილება, ახალი კურსების შემოტანა. მაგალითად, კურსი: კომპიუტერული უნარები გადავიდა პირველ სემესტრში, ასევე, მისი ინიციატივით სასწავლო კურიკულუმს დაემატა ახალი ინოვაციური კურსი: საერთაშორისო დაჯავშნის სისტემები, არჩევით საგნებს დაემატა კურსი - ოპერა და სხვა.. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, უცხოური ენები პროგრამაში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სპექტრით(რუსული, გერმანული, ფრანგული..) მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათი რეკომენდაციით პროგრამის სასწავლო კურიკულუმს დაემატა მეორე უცხო ენა. დამსაქმებლების თქმით, მათი რეკომენედაციებით, პროგრამის კურიკულუმში დაემატა კურსი“ღონისძიებათა მენეჯმენტი“ და “MAICE ტურიზმი”. ასევე, პრაქტიკულ კურსებში შემოტანილია საინტერესო აქტივობა - „გესთ სპიკერი“ - სტუმრის სტატუსით ხდება წარმატებული ადამიანების მოწვევა და მათი წარმატებული პრაქტიკის გაზიარება სტუდენტებისათვის - კურსის სილაბუსის თემატიკასთან შესაბამისობაში. სტუდენტების შეფასებით, აქტივობა „გესთ სპიკერი“ძალზედ ეფექტური და საინტერესოა მათთვის, ასევე მათი წინადადება სასწავლო კურიკულუმს დამატებოდა კურსი „დესტინაციის მენეჯმენტი“, სრულად გათვალისწინებულია და შესულია ახალი

პროგრამის კურიკულუმში, როგორც არჩევითი საგანი.
გასაუბრებებში გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსების წამყვანი ლექტორები გაუსის მეთოდით ახდენენ სტუდენტის მიერ მიღწეული სასწავლო კურსის შედეგების შეფასებას.სამომავლოდ კურსის გაუმჯობესების მიზნით.
ამასთან,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგენს პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებს, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების, მიზნისა და შედეგების აღწერით, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასაც, რისთვისაც ახდენს ლექციებზე დასწრებას, აფასებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, წინასწარ დადგენილი პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.
შეფასებისას გარკვეული ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წერს დასკვნას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს, ხარვეზის გამოსწორების მიზნით.
ამავდროულად, პროგრამის ხელმძღვანელი შეისწავლოს ხარვეზებს და შეუსაბამობებს, აკეთებს ხარვეზების მიზეზების ანალიზს/პრობლემების გამოსწორების მიზნით.
მიზეზების დადგენის შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი რეკომენდაციებით დახმარებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელს, კონკრეტული შემთხვევის სპეციფიურობის გათვალისწინებით.
აღნიშნულ შეფასების შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის გასაუმჯობესებლად.
სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას აკეთებს ფაკულტეტის დეკანიც, დადგენილი კრიტერიუმებისა და ფორმების შესაბამისად.
მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სამომავლოდ, განვითარების მიზნით, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და რექტორის განცხადებით, უნივერსიტეტს გააჩნია 28 ჰექტარზე გაშენებული ვენახი, 62 ქვევრი - 200 წლიანი ხანდაზმულობით ოკამში(კასპის მუნიციპალიტეტი), სადაც განხორციელდება ფართო მასშტაბის ტურისტული დესტინაციის პროექტი.
შესაბამისად, ამ პროექტის რეალიზებით შეიქმნება დიდი სატურისტო კომპლექსი, რაც პრაქტიკის განხორციელების შესანიშნავი არეალი იქნება პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სტუდენტთა სწავლის შედეგების მონიტორინგის მექანიზმები და ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (პსშ), მოქმედი პროგრამისთვის;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში მოქმედი პროგრამისთვის;
- მოდიფიცირებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (პსშ);
- მოდიფიცირებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამის განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ანგარიში;
- „ელექტრონული სწავლების წესი“;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ელექტრონული სწავლების პროცესის შესაფასებლად შემუშავებული დაინტერესებული მხარეების

გამოკითხვის ფორმები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2019-2020 და 2020-2021 წლის კვლევა ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით. ○ ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ სავალდებულო სასწავლო კურსებზე ,,გესთ-სფიქერის“ კომპონენტის ამოქმედება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ტურიზმი, მეექვსე საფეხური, ბაკალარიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა:44 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის ხელმწერა

ვალერი არღუთაშვილი

ეკა დევიძე



ირმა ქურდაძე



მარიამ ალექსიძე